განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 29 აპრილი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 29 ივნისი, 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 14 დეკემბრის №138 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზვიად როგავა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „უსდ“) სამართლის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: (A) არასპეციალობის სასწავლო კურსების კომპონენტის, (B) უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტის, (C) სამართლის საფუძვლებისა და ,მეთოდების მოდულის, (D) საჯარო სამართლის მოდულის, (E) კერძო/ბიზნესის სამართლის მოდულის, (F) სისხლის სამართლის მოდულოს და (G) პრაქტიკული უნარების კომპონენტისგან.

ამჟამად უსდ-ში სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება და იგი აკრედიტირებულია 7 წლის ვადით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 14 დეკემბრის №138 გადაწყვეტილებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი და შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 29 აპრილს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (პროგრამა ZOOM-ის) გამოყენებით. ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 10:30 სთ-დან 18:30 სთ-მდე.

აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, ადმინისტრაცია გამოხატავდა აშკარა მზაობას თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა, როგორც გასაუბრების სესიებზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფაში, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენაში.

გასაუბრების სესიები შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან,

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარეს სამართლის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის შედეგების თაობაზე არსებული ძირითადი მიგნებები.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არაგეგმიურმა მონიტორინგმა მოიცვა პირველი, მე-2, 4.1 და მე-5 სტანდარტები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართალს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირველ, მე-2, 4.1 და მე-5 სტანდარტებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდგენაირად:

#	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	არ შეფასებულა
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა (4.1 ადამიანური რესურსი)	შესაბამისობაშია სტანდარტთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტთან

- **რეკომენდაციები**

1.2. სტანდარტთან მიმართებაში

- იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია:

  - ✓ უსდ-მ, უპირველეს ყოვლისა, შეიმუშავოს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით და რა დონით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება) ვითარდება სტუდენტებში პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენოს მხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები;
  - ✓ უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელ სასწავლო კურსებში განსაზღვროს ის კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც უნდა შემოწმდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და აღნიშნულ დავალებასთან მიმართებაში დაადგინოს სამიზნე ნიშნული ანუ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება;
  - ✓ უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახება თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს და განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

2.2. სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია მე-5 სასწავლო სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები ევროკავშირის სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების შემადგენლობაში, მითუმეტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ არის მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატი საფეხურზე სწავლის დასრულებისას. შესაბამისად, კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს პროგრამის სწავლის შედეგებიც და პროგრამის სტრუქტურის აღწერაც;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „ევროკავშირის სამართალი“ „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „სამოხელეო სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“, „საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი“ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად;
- რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ისწავლებოდეს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წინ უსწრებდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“-ს სწავლებას და ამ უკანასკნელზე დაშვების წინაპირობას სწორედ სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წარმოადგენდეს;
- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ შემუშავდეს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით თუ აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. რუკაზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა. კურიკულუმის რუკაში ისიც უნდა მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს.

2.4. სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.6. სტანდარტთან მიმართებაში

- რეკომენდებულია, უსდ-მ აღმოფხვრას შუალედური, დასკვნითი, განმეორებითი გამოცდის გადაბარების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.3. სტანდარტთან მიმართებაში

- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ არჩევითი სასწავლო კურსები ან 6-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო რესურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს ინგლისურენოვანი ლიტერატურით სწავლებას;
- სასურველია, სასწავლო კურსების „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „საკორპორაციო სამართალი“, „გადახდისუუნარობის სამართალი“, „საპროკურორო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“, „კონსტიტუციური მართმსაჯულება“, „სამოხელეო სამართალი“, „პროფესიული ეთიკა“ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს აღნიშნული სასწავლო კურსებისათვის რელევანტური სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები.

2.4. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია, პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსში, მიმღები დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწვრილებით იყოს აღწერილი პრაქტიკის გეგმაც, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას და სხვ.

2.5. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში აღიწეროს არა მხოლოდ სწავლება-სწავლის მეთოდები, არამედ ის აქტივობებიც, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის პროცესში.

2.6. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია, უსდ-მ გადახედოს შეფასების თითოეულ კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვროს იმგვარად, რომ მათი ჯამი მინიმუმ 41 ქულას (FX) იძლეოდეს.

4.1. სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია, უსდ-მ იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ არის ქალაქი ზუგდიდი, ყველა უსდ-ში მათი დატვირთვის გათვალისწინებით, შეიმუშავოს დატვირთვის სპეციალური სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის განსხვავებული მაჩვენებელი, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მდგრადობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.**

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პოზიცია ,,სამართლის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტით განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

უსდ იზიარებს დასკვნის პროექტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და გამოთქვამს მზადყოფნას გაითვალისწინოს აღნიშნული რეკომენდაციები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემუშავებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის, ასევე, სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულია, თუ რა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, ძირითადი პრინციპების, სამართლებრივი სისტემების, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკურ პრინციპების, იურიდიული პროფესიების ზნეობრივი ასპექტების, ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალური სტანდარტების, ასევე სიღრმისეული ცოდნა კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროების ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების შესახებ. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი. კერძოდ, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს: • გამოუმუშავოს კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციის უნარი; • გამოუმუშავოს სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის

ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების უნარი;

- გამოუმუშავოს დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი;
- გამოუმუშავოს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

ამრიგად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, პროგრამის შინაარსის, გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგიისა და არსებული აკადემიური რესურსების გათვალისწინებით, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია, მიღწევადია და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

საგანმანათლებლო პროგრამა და საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;
- უსდ-ის მისია, მიზნები და სტრატეგია http://www.zssu.ge/zssu2/node/709;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის ვებგვერდი http://www.zssu.ge;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (სამართლის ბაკალავრი) და სწავლების საბაკალავრო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა ასევე კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ **ცოდნას**, რომლებიც სამართლის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი აღწერს:

- სამართლის არსს, სამართლის ნიშნებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებსა და სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ასევე ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს;
- სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, კონსტიტუციური

სამართალწარმოების თავისებურებებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტებს, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს, ადმინისტრაციული სამართლის არსსა და პრინციპებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს, ევროკავშირის სამართლის ძირითად პრინციპებს;

- სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, უმნიშვნელოვანეს ცივილისტურ კატეგორიებს, ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;
- დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;
- იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს, იურიდიული პროფესიების ზნეობრივ ასპექტებს, ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალურ სტანდარტებს.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ **უნარებს**, რომლებიც სამართლის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აანალიზებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- არჩევს, აანალიზებს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- შეიმუშავებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- შეიმუშავებს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, კერძოსამართლებრივი და ადმინისტრაციული

ხელშეკრულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტებს, ასევე დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე ასახავს იმ **პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას,** რომლებიც სამართლის მაკალავრს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- იცავს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს და ინდივიდთა უფლებების განხორციელებასას მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;
- მოიძიებს და გამოარჩევს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის ცოდნა, ძირითადი უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი.

პროგრამის სწავლის შედეგები მთლიანობაში მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია (რაც მათ შეფასებას გულისხმობს). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამაში ცვლილების განხორციელების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული პირი - აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, სამართლის სფეროს დამსაქმებლები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, მათი ფორმულირებისას უსდ ხელმძღვანელობს შემდეგი ფორმულით: სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი + მოქმედების გამომხატველი ზმნა + რა ეცოდინება, რა უნარები ექნება, რა ემოციური ცვლილება მოხდება მასში.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის გააჩნია 11 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებულია ბლუმის განახლებული ტაქსონომია, რომელიც მოიცავს ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების ექვს პროგრესულ დონეს. თითოეული დონისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ზმნები. აღნიშნული ზმნების გამოყენებით მარტივდება სწავლის შედეგების შეფასება.

უსდ-ის მიერ შემუშავებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან, პროგრამის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ერთად.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის თანახმად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასებისას გამოიყენება საგნობრივი გამოცდა, პროექტი, სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკა, კლინიკა და სხვ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტით პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგთან მიმართებაში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად და მათი ჩართულობით ხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, რასაც მოჰყვება მიგნებების იდენტიფიცირება, ანალიზის პროცესი, დასკვნები, რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ბუნდოვანი და არასრულყოფილია. წარმოდგენილი დოკუმენტი საგანმანათლებლო პროგრამის 11 სწავლის შედეგიდან ითვალისწინებს მხოლოდ 3 სწავლის შედეგის შეფასებას პირდაპირი მეთოდით. სწავლის შედეგები ფასდება თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებაში და არა იმ სასწავლო კურსებში, რომლითაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. შესაფასებლად გამოიყენება საგნობრივი კრებსითი გამოცდის შედეგები და არა იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ უნდა ზომავდეს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია:

- უსდ-მ, უპირველეს ყოვლისა, შეიმუშავოს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით და რა დონით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება) ვითარდება სტუდენტებში პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენოს მხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები;
- უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელ სასწავლო კურსებში განსაზღვროს ის კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც უნდა შემოწმდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და აღნიშნულ დავალებასთან მიმართებაში დაადგინოს სამიზნე ნიშნული ანუ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ

გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება; • უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახება თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს და განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა. უსდ-ის მიერ პროგრამის სწავლის შედეგები პირდაპირი მეთოდების გარდა, ასევე ფასდება არაპირდაპირი მეთოდებითაც: პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, პრაქტიკის ხელმძღვანელის, კოლეგების გამოკითხვა, სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვა. ამასთან, არაპირდაპირი მეთოდებით შეფასებისას შემფასებელი (სტუდენტი, დამსაქმებელი და სხვა) პროგრამის სწავლის შედეგს აფასებს სპეციალური კითხვარის საშუალებით. ინტერვიურების შედეგებით დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები; ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა; ○ უსდ-ის მიერ შემუშავებული „სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“; ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები; ○ უსდ-ის ვებგვერდი http://www.zssu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: ○ იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე რეკომენდებულია: ✓ უსდ-მ, უპირველეს ყოვლისა, შეიმუშავოს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით და რა დონით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება) ვითარდება სტუდენტებში პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენოს მხოლოდ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელი სასწავლო კურსები; ✓ უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების განმამტკიცებელ სასწავლო კურსებში

განსაზღვროს ის კონკრეტული დავალება, რომლის მეშვეობითაც უნდა შემოწმდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და აღნიშნულ დავალებასთან მიმართებაში დაადგინოს სამიზნე ნიშნული ანუ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ-მ გამოიყენოს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს და არა სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება; ✓ უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა აისახება თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს და განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებულია საბაკალავრო საფეხურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. ინტერვიურების შედეგებით დადგინდა, რომ აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადები, ასევე მობილობის ვადები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა (სრული ზოგადი განათლების მქონე პირი) პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები აღწერილია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ასევე მის შინაარსობრივ მხარეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; ○ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია უსდ-ის ვებგვერდის მეშვეობით http://www.zssu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურებს. ასევე, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი სწავლის უზრუნველყოფის მექანიზმებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამის მიზანებს, სწავლის შედეგებს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას, დასაქმების სფეროებს, სწავლის გაგრძელების საშუალებას, პროგრამის სტრუქტურას, პროგრამის საგნობრივ დატვირთვას, პროგრამის განხორციელების მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნუსხა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, ასევე შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: არასპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტის (25 ECTS), უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების (25 ECTS), სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების (15 ECTS), საჯარო სამართლის მოდულის სავადებულო სასწავლო კურსების (50 ECTS), კერძო/ბიზნესის სამართლის მოდულის სავადებულო სასწავლო კურსების (50 ECTS),, სისხლის სამართლის მოდულის სავადებულო სასწავლო კურსების (25 ECTS), პრაქტიკული უნარების კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების (12 ECTS) და საჯარო სამართლის, კერძო/ბიზნესის სამართლის, სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებისგან (48 ECTS).

არასპეციალობის სასწავლო კურსების კომპონენტი (25 ECTS)

არასპეციალობის სასწავლო კურსების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში.

არასპეციალობის სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი, მათ შორის 10 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსების, ხოლო 15 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე. არასპეციალობის სავალდებული და არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობაზე, წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე.

უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი (25 ECTS)

უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 25 კრედიტი, მათ შორის 5 კრედიტი პროფესიისათვის რელევანტური ინგლისური ენის სავალდებულო სასწავლო კურსის ხარჯზე.

უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე და ამ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული (15 ECTS)

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი, მათ შორის 10 კრედიტი მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე (შესავალი სამართალმცოდნეობაში, ქართული სამართლის ისტორია), ხოლო 5 კრედიტი მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე (რომის სამართლის საფუძვლები, საზ ღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია).

საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები (50 ECTS)

საჯარო სამართლის მოდულიდან სტუდენტმა სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე უნდა დააგროვოს 50 კრედიტი.

კერძო/ბიზნეს სამართლის მოდული (50 ECTS)

კერძო/ბიზნეს სამართლის მოდულიდან სტუდენტმა სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე უნდა დააგროვოს 50 კრედიტი.

სისხლის სამართლის მოდული (25 ECTS)

სისხლის სამართლის მოდულიდან სტუდენტმა სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე უნდა დააგროვოს 25 კრედიტი.

პრაქტიკული უნარების კომპონენტი (12 ECTS)

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი გადის პროფესიული ეთიკის სავალდებულო სასწავლო კურსს (6 კრედიტი). პრაქტიკული უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსებს კერძო სამართალში, სისხლის სამართალში და საჯარო სამართლში, ასევე კონსტიტუციური სამართლის კლინიკას და სასწავლო პრაქტიკას. კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულოს 6 კრედიტის დაგროვება. პრაქტიკული უნარების კომპონენტი საშუალებას აძლევს ბაკალავრს მიიღოს პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებული განათლება.

საჯარო სამართლის, კერძო/ბიზნესის სამართლის, სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები (48 ECTS)

საჯარო სამართლის, კერძო/ბიზნესის სამართლის, სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს

ცოდნა საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში.

ამასთან, თითოეული მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 36 კრედიტი, დანარჩენი 12 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მოდულ(ებ)ის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტების ჯამი აღემატება 240 და მთლიანობაში 250 კრედიტს შეადგენს. აღნიშნული გამოწვეულია მე-5 სასწავლო სემესტის დატვირთვით. აღნიშნულ სემესტრში სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ რვა 5 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსი (ინგლისური ენა იურისტებისთვის, ევროკავშირის სამართალი, ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი -1, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, სისხლის სამართალი (დანაშაულის სხვა სახეები) და სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი) ანუ ჯამში 40 კრედიტი.

რეკომენდებულია მე-5 სასწავლო სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები ევროკავშირის სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების შემადგენლობაში, მითუმეტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ არის მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატი საფეხურზე სწავლის დასრულებისას. შესაბამისად, კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს პროგრამის სწავლის შედეგებიც და პროგრამის სტრუქტურის აღწერაც.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები მთლიანობაში თანმიმდევრულად და სტრუქტურულად არის კონსტრუირებული. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ძირითადად ლოგიკურია. პროგრამაში შემავალ თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული წინაპირობებით.

ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები არ არის ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში და მოითხოვს დაზუსტებას, მაგალითად:

- სავალდებულო სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ისწავლება ერთ სასწავლო სემესტრში, მაშინ როდესაც სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წინ უნდა უსწრებდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“ სწავლებას და ამ უკანასკნელზე დაშვების წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს;

- სავალდებულო სასწავლო კურსს „ევროკავშირის სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „საერთაშორისო საჯარო სამართალი“;
- სავალდებულო სასწავლო კურსს „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“ აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსები „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“ და „სამოქალაქო საპროცესო სამართალი I“;
- არჩევით სასწავლო კურსს „სამოხელეო სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“ და „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განესაზღვროს მხოლოდ სასწავლო კურსი „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“;
- არჩევით სასწავლო კურსს „საგადასახადო სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“;
- არჩევით სასწავლო კურსს „ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“ წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „შრომის სამართალი“;
- არჩევით სასწავლო კურსს „საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „ადამიანის ძირითადი უფლებები“ და „კონსტიტუციური მართმსაჯულება“. აღნიშნულ სასწავლო კურსს, თემატიკიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსები „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ და „კონსტიტუციური მართმსაჯულება“.

რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „ევროკავშირის სამართალი“ „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „სამოხელეო სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“, „საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი“ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად.

რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ისწავლებოდეს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წინ უნდა უსწრებდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“ სწავლებას და ამ უკანასკნელზე დაშვების წინაპირობას სწორედ ეს

სასწავლო კურსი წარმოადგენდეს.

აღნიშნულის მიუხედავად, მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც არ არის აღწერილი, რომელი სასწავლო კურსი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის რომელ შედეგზე გადის. სწავლის შედეგების რუკით არ ჩანს, პროგრამის შინაარსით პროგრამის სწავლის ყველა შედეგი დაფარულია თუ არა.

რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ შემუშავდეს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით თუ აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. რუკაზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა. კურიკულუმის რუკაში ისიც უნდა მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა მთლიანობაში შეესაბამება სწავლების საფეხურს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სამართლის ბაკალავრი) შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ინტერვიურების შედეგებით დადგინდა, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, რაც ასევე დასტურდება შესაბამისი კითხვარებით, ოქმებით, მიმოწერით და სხვა დოკუმენტებით.

უსდ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამისათვის გამოყენებულია უნივერსიტეტის ვებგვერდი. ინტერვიურების შედეგებით დადგინდა, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად ასევე ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო თუ საორიენტაციო შეხვედრები, როგორც აბიტურიენტებთან, ასევე ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- საგანმანათლოებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;

- პროგრამის განვითარებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები (შესაბამისი ოქმები);
- უსდ-ის ვებგვერდი http://www.zssu.ge;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მე-5 სასწავლო სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები ევროკავშირის სამართალი და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების შემადგენლობაში, მითუმეტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ არის მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატი საფეხურზე სწავლის დასრულებისას. შესაბამისად, კორექტირებას უნდა დაექვემდებაროს პროგრამის სწავლის შედეგებიც და პროგრამის სტრუქტურის აღწერაც;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში: „ევროკავშირის სამართალი“ „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „სამოხელეო სამართალი“, „საგადასახადო სამართალი“, „ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“, „საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი“ დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად;
- რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსები „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ და „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ისწავლებოდეს ისეთი თანმიმდევრობით, რომ სავალდებულო სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ წინ უნდა უსწრებდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „ადამიანის ძირითადი უფლებები“ სწავლებას და ამ უკანასკნელზე დაშვების წინაპირობას სწორედ ეს სასწავლო კურსი წარმოადგენდეს;
- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ შემუშავდეს კურიკულუმის რუკა, რომელშიც აისახება, თუ რომელი სასწავლო კურსებით თუ აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. რუკაზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია ეს რაოდენობა. კურიკულუმის რუკაში ისიც უნდა მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგ.: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვან ნაწილს სასწავლო კურსები წარმოადგენენ.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების მოცულობა წარმოდგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომლის მიხედვით 1 კრედიტი 25 საათის ტოლია. სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა მთლიანობაში კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია. სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკა, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობა და სირთულე გათვალისწინებულია ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

ამასთან, როგორც 2.2. სტანდარტის შეფასებისას აღინიშნა ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად უსდ-ის მიერ არ არის გამოყენებული საგანმანათლოებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც აღწერილი იქნებოდა პროგრამის რომელი სწავლის შედეგი ძირითადი სწავლის სფეროს რომელი სასწავლო კურსებით მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

შეთავაზებული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებისა და არასპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ასევე შეესაბამება ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მთლიანობაში შეესაბამება ეროვნული საკვალიფკაციო ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფკაციათა აღმწერს. მათი ერთობლიობა მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის დასრულებისას.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლის შედეგები შეფასებადია. სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად კურსის სილაბუსში განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი შეფასების რუბრიკაში. სასწავლო კურსის სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში არსებული ზოგადი ინსტრუქციებისა და რეგულაციების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ არჩევითი სასწავლო კურსები ან 6-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო რესურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს ინგლისურენოვანი ლიტერატურით სწავლებას.

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა: ნორმატიული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, ავთენტური წყაროები, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ელექტრონულ რესურსები და სხვ. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მთლიანობაში ეფუძნება სამართლის სფეროს აქტუალურ მიღწევებს, სამართლის დარგობრივ მახასიათებელს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ამასთან, როგორც სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სასწავლო რესურსების ანალიზმა ცხადყო, სასურველია ცალკეული სასწავლო კურსები განახლდეს უახლესი გამოცემებით ან/და შეივსოს თანამედროვე სასწავლო რესურსებით. მაგალითად:

- სავალდებულო სასწავლო კურსში „ადამიანის ძირითადი უფლებები“ სასურველია

სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს სახელმძღვანელოს უახლესი გამოცემა - კ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეექვსე გამოცემა, თბ., 2022.

- სავალდებულო სასწავლო კურსში „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს ასევე სხვა უახლესი გამოცემებიც - ვ. გონაშვილი, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, ი. კახიძე, გ. კვერენჩხილაძე, ნ. ჭიღლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2020 ან ა. დემეტრაშვილი, გ. გოგიაშვილი, კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გადამუშავებული და განახლებული გამოცემა, თბ., 2020;
- სავალდებულო სასწავლო კურსში „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეშვიდე, საოჯახო სამართალი, მთავარი რედაქტორი ლ. ჭანტურია, გ. რუსიაშვილი, თბ. 2021.
- სავალდებულო სასწავლო კურსში „საკორპორაციო სამართალი“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს ასევე უახლესი სახელმძრვანელოებიც - ი. ბურდული, გ. მახარობლიშვილი, ა. თოხაძე, ნ. ზუბიტაშვილი, ა. ალადაშვილი, დ. ეგნატაშვილი, საკორპორაციო სამართალი, თბ.. 2021 და ნ. ბაქაქური, მ. გელტერი, ლ. ცერცვაძე, გ. ჯუღელი, საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, თბ. 2019;
- არჩევით სასწავლო კურსში „გადახდისუუნარობის სამართალი“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს ასევე უახლესი გამოცემა - ავტ: ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი, სერგი ჯორბენაძე, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. თბ., 2021. ამასთან, სასწავლო რესურსებიდან ამოღებული უნდა იქნას „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 მარტის კანონი, როგორც ძალადაკარგული ნორმატიული აქტი;
- არჩევით სასწავლო კურსში „საპროკურორო სამართალი“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს ასევე - პ.მონიავა, მ.მამნიაშვილი, ნ.რევაზიშვილი, ი.გაბისონია, თ.მონიავა, ნ.გელაშვილი, „საპროკურორო სამართალი“, "იურისტების სამყარო";. თბილისი, 2015;
- სავალდებულო სასწავლო კურსში „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურად 2012 წლის სახელმძღვანელოს ნაცვლად სასურველია გამოყენებული იქნეს უახლესი სახელმძღვანელო - ნ. პაპუკაშვილის, მუნიციპალური სამართალი, პირველი გამოცემა, თბ., 2022;
- სავალდებულო სასწავლო კურსში „კონსტიტუციური მართმსაჯულება“ სასურველია გამოყენებული იქნეს უახლესი სახელმძღვანელო - ბ. ლოლაძე, ზ. მაჭარაძე, ა. ფირცხალაშვილი, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, თბ., 2021.
- არჩევით სასწავლო კურსში „სამოხელეო სამართალი“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს აღნიშნული სასწავლო კურსისათვის ისეთი რელევანტური სახელმძღვანელოები, როგორიცაა: 1. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. კომენტარები. რედაქტორი ეკატერინე ქარდავა, თბ., 2018. 2.

პ.ტურავა, ა.ფირცხალაშვილი, ე.ქარდავა, ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, თბ., 2020, 3. ი. აღაპიშვილი, გ. ბესელია, ნ. ცუხიშვილი, „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება კომენტარები, თბ., 2018, 4. საჯარო დაწესებულებებში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების პრაქტიკული სახელმძღვანელო თბ., 2014, 5. ს. დემეტრაშვილი, ნ. ხარაძე, კაზუსები და ტესტები სამოხელეო სამართალში, თბ., 2019 და სხვა.

- სავალდებულო სასწავლო კურსში „პროფესიული ეთიკა“ სავალდებულო ლიტერატურად სასურველია გამოყენებული იქნეს ახალი სახელმძღვანელოც - ე. გასიტაშვილი, თ. ზამბახიძე, ი. კორძახია, ა. ლორია, ქ. მესხიშვილი, ჯ. მოლიტერნო, თ. ხუბულური, იურიდიული ეთიკა (ადვოკატების, მოსამართლეების, პროკურორების ეთიკა), თბილისი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021,

სასურველია, სასწავლო კურსების „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „საკორპორაციო სამართალი“, „გადახდისუუნარობის სამართალი“, „საპროკურორო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“, „კონსტიტუციური მართმსაჯულება“, „სამოხელეო სამართალი“, „პროფესიული ეთიკა“ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს აღნიშნული სასწავლო კურსებისათვის რელევანტური სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა გამოკითხვება, რომელიც მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების პროცესში გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსი განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში და შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი მითითებულია სასწავლო კურსის სახელწოდება, სასწავლო კურსის განმახორციელებლები, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები, რომლებიც ითვალისწინებენ სწავლის შედეგების შეფასების სისტემას;
- საგანმანათლოებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა http://www.zssu.ge
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს ინგლისურ ენაზე შეეთავაზოთ არჩევითი სასწავლო კურსები ან 6-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სავალდებულო სასწავლო რესურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს ინგლისურენოვანი ლიტერატურით სწავლებას;
- სასურველია, სასწავლო კურსების „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „საკორპორაციო სამართალი“, „გადახდისუუნარობის სამართალი“, „საპროკურორო სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის სამართალი“, „კონსტიტუციური მართმსაჯულება“, „სამოხელეო სამართალი“, „პროფესიული ეთიკა“ სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს აღნიშნული სასწავლო კურსებისათვის რელევანტური სახელმძღვანელოების უახლესი გამოცემები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა წარმოდგენილია თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკისა და პრაქტიკული უნარების კომპონენტის თანმიმდევრული განხორციელების სახით. საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, ჩაშენებულია თეორიულ კურსებში. ამ შემთხვევაში პრაქტიკა ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. პრაქტიკის აღნიშნული მოდელის მიზანია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების მყისიერი ტრანსფერი პრაქტიკაში. პრაქტიკის აღნიშნული მოდელი გამჭოლად გასდევს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი აქვს. ასეთ სავალდებულო სასწავლო კურსებს განეკუთვნება: • საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი (სტუდენტი შეიმუშავებს ადმინისტრაციული საჩივის პროექტს, მონაწილეობს ადმინისტრაციულ წარმოებაში); • „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი (სტუდენტი შეიმუშავებს იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ადმინისტრაციული სარჩელი, გადაწყვეტილება, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი და სხვა) პროექტებს, მონაწილეობს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში); • „სახელშეკრულებო სამართალი“ (სტუდენტი შეიმუშავებს ხელშეკრულებათა შედგენის მექანიზმს, არჩევს ხელშეკრულების ფორმასა და ტიპს, განსაზღვრავს ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და სხვა საკითხებს); • „სამოქალაქო საპროცესო სამართალი - 1“ (სტუდენტი შეიმუშავებს ცალკეული საპროცესო დოკუმენტების პროექტებს); • „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ (სტუდენტი შეიმუშავებს საქორწინო ხელშეკრულების შინაარსს, განსაზღვრავს საქორწინო ხელშეკრულების პირობებსა და საქორწინო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს); • „სამოქალაქო საპროცესო სამართალი - 2“ (სტუდენტი შეიმუშავებს საპროცესო დოკუმენტების (სარჩელი, საჩივარი, გადაწყვეტილება, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი და სხვა) პროექტებს, მონაწილეობს სამოქალაქო სამართალწარმოებაში); • „საკორპორაციო სამართალი“ (სტუდენტი შეიმუშავებს სადამფუძნებლო ხელშეკრულებას, პარტნიორთა შეთანხმებას (მეწარმე სუბიექტის წესდებას), შინაგაწესს, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას, კრების ოქმს); • „შრომის სამართალი“ (სტუდენტი შეიმუშავებს შრომითი ხელშეკრულების შედგენის მექანიზმს, განსაზღვრავს ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობისა და სხვა საკითხებს);

- სისხლის სამართალის პროცესი, ზოგადი ნაწილი (სტუდენტი შეიმუშავებს ცალკეული საპროცესო დოკუმენტების პროექტებს);
- სისხლის სამართალის პროცესი, კერძო ნაწილი (სტუდენტი შეიმუშავებს საპროცესო დოკუმენტების პროექტებს, მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში).

პრაქტიკის კომპონენტები ჩაშენებულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული უნარების კომპონენტში და წარმოდგენილია სამი დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით, საიდანაც სტუდენტი საკუთარი არჩევანის საფუძველზე გაივლის მხოლოდ ერთს. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი", „კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი" და „სისხლის სამართალის პრაქტიკული კურსი".

პრაქტიკული კურსები სტუდენტებს შეეთავაზებათ პროგრამის დასკვნით ეტაპზე - მე-8 სასწავლო სემესტრში. აღნიშნული კურსების მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება.

საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტები ასევე წარმოდგენილია საკონსტიტუციო სამართლის კლინიკისა და სასწავლო პრაქტიკის არჩევითი კომპონენტების სახით, სადაც სტუდენტი ახდენს თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შეჯამებას.

საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტია (6 ECTS).

კლინიკა ორიენტირებულია გამოუმუშავოს სტუდენტს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში პრაქტიკული საქმიანობის სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები.

საკონსტიტუციო სამართლის კლინიკაში საქმიანობით სტუდენტს საშუალება ეძლევა აქტიურად აითვისოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის სპეციფიკა, შეისწავლოს პროცესუალური დოკუმენტების მომზადების ტექნიკა და ის უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია პრაქტიკული საქმიანობისთვის, იმუშაოს სასამართლო აქტების პროექტებზე, გაიღრმავოს თეორიული ცოდნა, გამოიმუშავოს სამართლის ნორმის სწორი განმარტების უნარი, დაესწროს სასამართლო პროცესებს.

საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტი უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევს ნებისმიერი ფიზიკურ და იურიდიული პირს, რომელსაც ესაჭიროება საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში იურიდიული დახმარება.

საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის გარდა, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტის სახით სტუდენტენს სთავაზობს სასწავლო პრაქტიკის იურიდიული პროფილიდ დაწესებულებებში (6 ECTS).

სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი დეტალურად აღწერს სასწავლო პრაქტიკის მიზნებს, სწავლის შედეგებს, პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, სასწავლო პრაქტიკის ძირითადი მიმართულებებს, სასწავლო პრაქტიკის ფორმატს, სასწავლო პრაქტიკის ორგანიზაციულ საკითხებს, ასევე სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას.

სასურველია, კურსის სილაბუსში, რომელიც პრაქტიკის კომპონენტს მოიცავს, მიმღები დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწვრილებით იყოს აღწერილი პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას, და სხვ. პრაქტიკის დაგეგმვისა და მისი აღწერის ასეთი მიდგომით ხელს შევუწყობთ, რომ პრაქტიკის პროცესი იყოს ცხადი და ასევე თანმიმდევრულად აღქმადი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პრაქტიკის ადგილზე პრაქტიკის ხელმძღვანელებისთვის.

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს:

- მისცეს პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლება;
- შესძინოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებათა მიღებისა და კონფლიქტების მოგვარების უნარი;
- გამოუმუშავოს იურიდიულ საქმეთა წარმოებისა და საკითხის გადაწყვეტისას ალტერნატიული ხერხებისა და მეთოდების გამოყენების უნარი;
- გამოუმუშავოს იურიდიული პროფესიებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების გათვალისწინების, ღირებულებების ანალიზის და ღირებულებებისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარი;
- გამოუმუშავოს რეალურ სამუშაო გარემოში მუშაობის გამოცდილებისა და ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლებრივი საკითხების ანალიზის და სინთეზის, აგრეთვე ლოგიკური, სწორი და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარი;
- გამოუმუშავოს არგუმენტირებული მსჯელობის, გამართული კომუნიკაციის, სამართლებრივ საკითხებზე მოლაპარაკებების წარმართვას უნარი;
- გამოუმუშავოს შესრულებული სამუშაოს აღწერის, შედეგების განსაზღვრისა და ადეკვატური შეფასების უნარი;
- გამოუმუშავოს შრომისა და დროის სწორად განაწილების უნარი.
- გამოუმუშავოს წარმატებული იურიდიული საქმიანობისთვის უახლესი ინფორმაციის და მოწინავე გამოცდილების გაზიარების და ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობის გაცნობიერების უნარი.

სასწავლო პრაქტიკის პროცესი მიმდინარეობს საკონტაქტო (პრაქტიკის კოორდინატორთან კონსულტაციები, პრაქტიკის უფლებამოსილ პირთან უშუალო მუშაობა, მისი მითითებებისა და მიცემული დავალებების შესრულება, პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია) და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით.

სასწავლო პრაქტიკის საერთო კოორდინაციას ახორციელებს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი - სასწავლო პრაქტიკის კოორდინატორი. იგი პასუხისმგებელია სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაზე. სასწავლო პრაქტიკის კოორდინატორი:

- ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პრაქტიკის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
- ახორციელებს მონიტორინგს სასწავლო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესზე.

სასწავლო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, მიმღები დაწესებულება გამოყოფს სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელს. სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს დაწესებულებაში სტუდენტთა საქმიანობის უშუალო ზედამხედველობას.

სასწავლო პრაქტიკის პროცესში სტუდენტმა უნდა დაიცვას მიმღები დაწესებულების შიდაგანაწესი, უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმები, შეასრულოს კონკრეტული სამუშაო სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად და აწარმოოს სასწავლო პრაქტიკის დღიური.

იურიდიულ პრაქტიკას სტუდენტი გადის უნივერსიტეტის პარტნიორ დაწესებულებებში. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად უსდ-ის მიერ შერჩეულია პროგრამის მიზნებისა და სამართლის სფეროსათვის რელევანტური 5 პარტნიორი ორგანიზაცია და 5 იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი, კერძოდ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქართველოს პროკურატურა, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი გ.შ., იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ზ.ქ., იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მ.ბ., იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი რ.ზ., იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი რ.კ.

პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) უსდ-ის თანამშრომლობის პირობები განსაზღვრულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით და ხელშეკრულებებით, რომლებიც აღწერენ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ამასთან, ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა.

რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისად.

ამრიგად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის მოდელის შემთხვევაში სტუდენტი, სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენეტის ფარგლებში, ჩართულია პრაქტიკულ აქტივობებში პროგრამაზე სწავლის პირველივე ეტაპიდან, ხოლო პრაქტიკული უნარების კომპონენტის სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს მას დამამთავრებელ ეტაპზე მოახდინოს პროგრამაზე სწავლის სხვდასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარების შეჯამება, გაანალიზება, თვითშეფასება და რეფლექსია კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის მიმართულებით.

პრაქტიკული კომპონენტების შესაფასებლად უსდ-ის მიერ გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს თითქმის ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სტუდენტის მიერ ინდივიდუალური წერითი საშინაო დავალების შესრულებასა და მათ პრეზენტაციას. ამ მიზნით სტუდენტი მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, მეცნიერების სიახლეებს, აანალიზებს სამართლებრივ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის გზებს და განახლებული ცოდნის საფუძველზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს წერითი ფორმით.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების შესაფასებლად გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი;
- საკონსტიტუციო სამართლის კლინიკის სილაბუსი;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსში, მიმღები დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწვრილებით იყოს აღწერილი პრაქტიკის გეგმაც, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების

ინსტრუქციას და სხვ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება და ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის

მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს.

შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, სასწავლო პრაქტიკა);
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება);
- სხვა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.). ამასთან, სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულია მხოლოდ სწავლება-სწავლის მეთოდები და არ არის განსაზღვრული ის აქტივობები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო კურსის ფარგლებში.

სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში აღიწეროს არა მხოლოდ სწავლება-სწავლის მეთოდები, არამედ ის აქტივობებიც, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის პროცესში.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში, როგორც წესი, გამოიყენება მეთოდების კომბინაცია. სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მთლიანობაში მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის შინაარსი და სპეციფიკა, ასევე სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. მაგალითად, სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდად გამოყენებულია პრაქტიკული მუშაობა, ხოლო ზეპირი და წერითი კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით - სემინარი.

მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფენ სასწავლო კურსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო ყველა სასწავლო კურსით/კომპონენტით გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომები და აკადემიური მოსწრების შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცედურა განსაზღვრულია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 აპრილის №20 დადგენილებით.

ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს ყოველკვირეულ დამატებით კონსულტაციებს სასწავლო კურსის განმახორციელებელთან. საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მითითებულია საკონსულტაციო შეხვედრების განრიგში, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის, ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 აპრილის №20 დადგენილებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“; http://www.zssu.ge/zssu2/node/36
- Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა - http://www.zssu.ge/zssu2/.
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში აღიწეროს არა მხოლოდ სწავლება-სწავლის მეთოდები, არამედ ის აქტივობებიც, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას, რაც დასტურდება საგანმანათლბლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში, დასკვნითი შეფასება კი ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.

საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) საფუძველზე. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების თითოეულ კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში.

სასწავლო კურსების სილაბუსიებით დგინდება, რომ შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულის 30 %, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 30 %. შესაბამისად, თუ შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა საბოლოო შეფასების 70 % -ის ტოლია, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულას შეადგენს, ხოლო თუ დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა საბოლოო შეფასების 30 % -ის ტოლია, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 9 ქულას შეადგენს. ამასთან, თუ შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა საბოლოო შეფასების 60 %-ის

ტოლია, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 18 ქულას შეადგენს, ხოლო თუ დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა საბოლოო შეფასების 40 % -ის ტოლია, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 12 ქულას შეადგენს.

სასურველია, უსდ-მ გადახედოს შეფასების თითოეულ კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვროს იმგვარად, რომ მათი ჯამი მინიმუმ 41 ქულას (FX) იძლეოდეს.

სასწავლო კურსი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის, მათ შორის, შუალედურ და დასკვნით შეფასებებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას. სტუდენტს კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

შეფასების კომპონენტები, შესაბამისი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს შეფასების ადექვატურ მეთოდებს ანუ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებებს - ზეპირი/წერითი გამოკითხვა, ზეპირი/წერითი გამოცდა, ტესტი, ესსე, რეფერატი, პრეზენტაცია, პრაქტიკული ან თეორიული დავალების შესრულება, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა.

ამრიგად, სტუდენტთა შეფასება არის მრავალმეთოდიანი და უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად, უსდ-ის მიერ გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები.

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით. მაგალითად, სასწავლო კურსებში სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, პრაქტიკული დავალების შესრულება და ა.შ., კომუნიკაციის უნარების შეფასების მიზნით გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა საშინაო დავალების პრეზენტაცია, დისკუსიაში მონაწილეობა და ა.შ.

ინფორმაცია შეფასების სისტემის, კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები სტუდენტებისათვის გასაგებად არის ასახული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, რაც ეცნობება სტუდენტს სასწავლო კურსის დაწყებისთანავე. სასწავლო კურსის სილაბუსები ასევე ატვირთული და ხელმისაწვდომია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე და სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

ინტერვიურების შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ დროულ და დეტალურ ინფორმაციას მიღებული შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ. სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ წარმოებს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება.

უმაღლეს საგანამანთლებლო დაწესებულებაში მოქმედებს გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი, რომელიც რეგულირდება სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარებისა და გამოცდის

შედეგების გასაჩივრების წესი“-ს შესაბსამისად. სტუდენტს უფლება აქვს საგამოცდო შედეგის შედეგის გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში წერილობითი საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანატს.

საჩივრის მიღების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია, 2 დღის განმავლობაში აცნობოს სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს, რომელიც სამი დღის განმავლობაში წარმოადგენს მოსაზრებას სადავო საკითხთან დაკავშირებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დეკანი რეაგირებისთვის მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. რექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია სამი ან მეტი წევრის შემადგენლობით.

კომისია ვალდებულია, უმოკლეს ვადაში, განიხილოს შემოსული საჩივარი, მისცეს შესაძლებლობა მხარეებს წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრება სადავო საკითხთან დაკავშირებით და მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება.

კომისიას უფლება აქვს სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით.

ინტერვიურების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში უსდ-ის მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება სასწავლო კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემისა და გასაჩივრების მექანიზმი ეფექტიანობის შესახებ. ამასთან, უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგებით დადგინდა, რომ ისინი პოზიტიურად აფასებენ, როგორც სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას, ასევე სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების სისტემას. ამასთან, ინტერვიურების პროცესში სტუდენტებმა ნათლად და მკაფიო დააფიქსირეს, რომ არასასურველი შეფასების მიღების შემთხვევაში, უსდ აძლევთ მათ შესაძლებლობას გადააბარონ შუალედური, დასკვნითი, განმეორებითი გამოცდა მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით.

რეკომენდებულია, უსდ-მ აღმოფხვრას შუალედური, დასკვნითი, განმეორებითი გამოცდის გადაბარების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარებისა და გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი“. http://www.zssu.ge/zssu2/node/36
- Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმა http://moodle.zssu.ge/admin/index.php;
- სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა http://lms.zssu.ge;

○ უდ-ის ვებგვერდი: http://www.zssu.ge/zssu2/; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, უსდ-მ აღმოფხვრას შუალედური, დასკვნითი, განმეორებითი გამოცდის გადაბარების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უსდ-მ გადახედოს შეფასების თითოეულ კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვროს იმგვარად, რომ მათი ჯამი მინიმუმ 41 ქულას (FX) იძლეოდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ

პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 41 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის ძირითადი სწავლების სფეოს განხორციელებას უზრუნველყოფს 27 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხოლო თავისუფალი კომპონენტის განხორციელებას - 14 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს განხორციელებელი 27 პირიდან 13 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია, ხოლო 14 - მოწვეული პერსონალი. ამასთან, აკადემიური პერსონალიდან 3 უსდ-ის პროფესორია, ხოლო 10 - ასოცირებული პროფესორი. აკადემიური პერსონალის სრულ შემადგენლობას გააჩნია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს განხორციელებელი მოწვეული პერსონალიდან ხუთს გააჩნია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი და აკადემიურ სფეროში საქმიანობის გამოცდილება, ხოლო ცხრას - სამართლის სფეროში საქმიანობის პროფესიული გამოცდილება. აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ მთლიანობაში პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ამასთან, აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. სამართლის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს განხორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს შეთავაზებული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც აკადემიური პერსონალის შემთხვევაში დასტურდება ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში სამართლის სფეროში მოღვაწეობის არანაკლებ 5 წლიანი პრაქტიკული გამოცდილებით. ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან

გამომდინარე. მთლიანობაში პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია თუ არა სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას, ვერ იქნა გაანალიზებული შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობის გამო. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას, ასევე ვერ იქნა გაანალიზებული ყველა უსდ-ში მათი დატვირთვის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო. ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს განხორციელებელი 13 აკადემიური პერსონალიდან 9 პირის საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი, 3 პირის - ქ. ქუთაისი და მხოლოდ ერთი პირის - ქ. ზუგდიდი. ამასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს განმახორციელებელი 14 მოწვეული პერსონალიდან 2 პირის საცხოვრებელ ადგილია ქ.თბილისი, 1 პირის - ქ. ქუთაისი, 2 პირის - ქ. ბათუმი და 9 პირის - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი. სასურველია, უსდ-მ იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ არის ქალაქი ზუგდიდი, ყველა უსდ-ში მათი დატვირთვის გათვალისწინებით, შეიმუშავოს დატვირთვის სპეციალური სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის განსხვავებული მაჩვენებელი, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მდგრადობა. სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის უსდ-ს აკადემიური პერსონალი პროფესორი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხით და სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში და მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში. ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ უსდ-ის მიერ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პირადი საქმე;

○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უსდ-მ იმ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არ არის ქალაქი ზუგდიდი, ყველა უსდ-ში მათი დატვირთვის გათვალისწინებით, შეიმუშავოს დატვირთვის სპეციალური სქემა და ინდივიდუალური დატვირთვის განსხვავებული მაჩვენებელი, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მდგრადობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა (4.1 ადამიანური რესურსი)	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს აქვს შიდა ხარისხის მექანიზმები, რომელიც გაწერილია 2021 წელს მიღებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში. დოკუმენტი ითვალისწინებს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცედურებს, ასევე - პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემას. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სხდომის ოქმებიდან დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესში, მათ შორის, პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების დაგეგმვის, მომზადებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს პროგრამის არაპირდაპირი შეფასების მექანიზმი და ასევე, წარმოდგენილი აქვს გამოკითხვის ჩატარების წესი. არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ასევე, დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების ანალიზის შედეგების მიხედვით, რეკომენდაციის გაცემის საჭიროება არ გამოიკვეთა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი; ○ გამოკითხვის ჩატარების წესი; ○ სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს პროგრამის გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი პროცესის შედეგად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ ბოლო აკრედიტაცია მიიღო 2016 წელს (გადაწყვეტილება №138, 14.12.2016). აკრედიტაციის შემდგომ, სამართლის დარგობრივი მახასიათებლის განახლების შედეგად, უსდ-მ კვლავ განახორციელა პროგრამაში ცვლილებები, რაც გახდა მისი ხელახალი გარე შეფასების საფუძველი არაგემიური მონიტორინგის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №138, 14.12. 2016; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრული აქვს პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში უსდ-ს დამატებით არ წარმოუდგენია პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ამსახველი დოკუმენტები, თუმცა წარმოდგენილ იქნა პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვისა და განხორციელების დამადასტურებელი ოქმები, ასევე, წარმოდგენილ იქნა პროგრამის (ცვლილებების) დამტკიცების დოკუმენტი. არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში არ წარმოდგენილა და შესაბამისად, არ შეფასებულა პროგრამის განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებისა და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები. შედეგად, ამ მიმართულებით რეკომენდაციის გაცემის საჭიროება არ გამოკვეთილა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი; ○ სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა (4.1 ადამიანური რესურსი)	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ზვიად როგავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი მახარობლიშვილი ხელმოწერა